MES 5 23 0000620368

30/05/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 16.05.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 16: 21 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
6. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
7. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი
8. **ლევან ნიკოლეიშვილი** - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი

10. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
12. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
15. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
16. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
17. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ანი ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	იამზე კუტალაძე	**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	**I**
2	ლილი ხეჩუაშვილი		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**I**
3	თამარ გაგოშიძე		დეკანი	**I**
4	ლუიზა არუთინოვა		პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
5	თეონა ლოდია		პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
6	ლელა ალექსიძე		დეკანი	**III**
7				**III**

	ალექსანდრე გობირახაშვილი	**სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	
8	ლევან მიდოდაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
9	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**IV**
10	ხათუნა მხეიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე	**IV**
11	თამარ ხოხობაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	**IV**
12	ეკატერინე შაკიაშვილი		საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**
13	მერაბ ძნელაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**
14	ვაჟა სადრაძე		ასოცირებული პროფესორი	**IV**
15	მანანა აბუთიძე		ასოცირებული პროფესორი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	გიორგი ზუბიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
3	ირინე დემეტრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა

უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27[5]-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და შეფასების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური კონსულტირებისა და შეფასების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
3. სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1.პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1		

	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია / Work and Organizational Psychology
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული.
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1428368; 14.12. 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი / MA in Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის ქ. # 11, მე-3 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ნათია ბადრიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ 2023 წლის მარტში წარმოადგინა ანგარიში, სადაც აღწერილია 4 რეკომენდაციაზე გაწეული საქმიანობა. დაწესებულებამ ერთი წლის განმავლობაში სრულად შეასრულა 1 რეკომენდაცია (რეკომენდაცია №4), ნაწილობრივ შესრულდა 1 რეკომენდაცია (რეკომენდაცია №3) და არ შესრულდა 2 რეკომენდაცია (რეკომენდაციები №1 და №2). პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კანონით სავალდებულოა კურსში წარმოდგენილი იყოს სავალდებულო და არჩევითი კურსები, თუმცა დაწესებულება აღნიშნავს, რომ პროგრამა მოიცავს სამ სავალდებულო მოდულს, თითოეული მოდულიდან სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმალური სავალდებულო ქულა. სწორედ ამ არჩევანის გამო დაწესებულება მიიჩნევს, რომ სამაგისტრო პროგრამა არ მოდის წინააღმდეგობაში დადგენილ კანონთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ წინასწარ არ მოახდინა არჩევითი და სავალდებულო კურსების მკაცრად გამიჯვნა ერთმანეთისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, იამზე კუტალაძემ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამა არსებობს იმ პერიოდიდან, როდესაც განათლების სამინისტრომ შემოიღო მეორე საფეხური უმაღლესი საგანმანათლებლო სწავლების, კერძოდ მაგისტრატურის. პროგრამა მოთხოვნადია და დაწესებულება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან. ის შედგება სამი მოდულისაგან, კერძოდ შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, რომელშიც გაერთიანებულია ე.წ „სპეცკურსები“, რომლებიც ხელს უწყობს შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხების გააზრებას, შესწავლასა და სისტემურ ხედვას. ასევე, კვლევა და შეფასება, რომელიც სავალდებულო მოდულს წარმოადგენს. ყველა მოდულში განსაზღვრულია კრედიტების სავალდებულო რაოდენობა, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს. კვლევა ტრანსფერულ უნარს წარმოადგენს, რომელიც სავალდებულო არ არის ყველა საგანში იყოს. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის უნარების განვითარებაზე. ყველა საგანი, რომელიც კვლევით კომპონენტში შედის, სხვადასხვა პერსპექტივიდან ასწავლის და ავითარებს სტუდენტის კვლევით უნარებს. ლილი ხეჩუაშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვის და შეფასების პროცედურის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომი წინასწარ გადის საჯარო განხილვას და თუ ნაშრომი უარყოფითად შეფასდება, არ ხდება მისი წარდგენა დაცვაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ახალ ბრძანებაში არ იძებნება მ.4, პ.19-ი. შესაბამისად, არსებული პროცედურა არ არის წინააღმდეგობაში არსებულ რეგულაციებთან. მისი თქმით, სტუდენტმა უნდა გაიაროს წინასწარი განხილვა სამაგისტრო ნაშრომის, რათა დაიშვას საბოლოო დაცვაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინე ებრალიძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, არსებობს თუ არა მსოფლიოში ამ პროგრამის ანალოგი, რომელსაც მსგავსი სტრუქტურა გააჩნია. იამზე კუტალაძემ უპასუხა, რომ ამ პროგრამის ანალოგი მსოფლიოში არსებობს, რომელსაც მსგავსი სტრუქტურა გააჩნია, კერძოდ როდესაც მოდულები არის სავალდებულო, ხოლო საგნები არჩევითი.
საბჭოს თავჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშა, რომ მოდულებში მითითებულია შემდეგი: „შეთავაზებული 45 კრედიტიდან მაგისტრატმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 37“. მას აინტერსებდა, რა სტატუსით არის წარმოდგენილი აღნიშნული საგნები? იამზე კუტალაძემ უპასუხა, რომ ყველა საგანში აქცენტი კეთდება ტრანსფერულ უნარებზე, მაგალითად

„რეგრესიულ ფაქტორულ ანალიზში“. საგნები, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე მოდულებშია წარმოდგენილი, არ ეხება მხოლოდ კვლევას და შეფასებას. ეს საგნები არის არჩევითი სტატუსით. სტუდენტის ინტერესში არ შედის კარიერული კონსულტირება და თავისი კონფიგურაციით ქმნის ინდივიდუალურ გეგმას, რათა იმუშაოს შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე საკუთარ ორგანიზაციაში, თუმცა თუ ის დაინტერესდება კარიერული კონსულტირებით, ფუნდამენტური უნარები და ცოდნა წინასწარ ექნება. ყველა მოდულის სილაბუსი გადის პროგრამის სწავლის შედეგზე. გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა, თუ სტუდენტმა არ გაიარა კურსი „შრომითი ურთიერთობის სამართლებრივი ასპექტები“, გავა თუ არა სტუდენტი პროგრამის სწავლის შედეგზე? იამზე კუტალაძემ უპასუხა, რომ აღნიშნული საგანი მნიშვნელოვანია იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით მუშაობენ. ამ კურსის შესწავლისას მათ ჩამოუყალიბდებათ სამართლებრივი ცოდნა შრომითი სამართლის მიმართულებით. ამ საგნის სწავლებაში დაწესებულება ვერ ხედავს პრობლემას. ლილი ხეჩუაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ კურიკულუმის რუკაში „ორგანიზაციის ფსიქოლოგიის აქტუალური საკითხები“ და „შრომითი ურთიერთობების სამართლებრივი ასპექტები“, გადის ურთიერთგადამფარავ შედეგებზე. შესაბამისად, ცოდნა - გაცნობიერებას, სტუდენტის უნარებს და მის ავტონომიურობას ფარავს ეს კურსები. მისი აზრით, პროგრამას აქვს არსებობის უფლება ორიგინალური სახით იქიდან გამომდინარე, რომ გადის შედეგზე, ჰყავს კურსდამთავრებულები და დასაქმებულები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:52
დასრულების დრო: 15:31

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრა არსებული ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

2. მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება / Child and Adolescent Psychological Assessment and Counseling

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N1428368; 28.12. 2021
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7 დონე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფსიქოლოგიის მაგისტრი / MA in Psychology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0179, თბილისი, ი. ჭავჭავაძის ქ. # 11, მე-3 კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ნინო ჭალაგანიძემ და მამუკა ხუსკივაძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ნათია ბადრიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ 2023 წლის მარტში წარადგინა ანგარიში, სადაც აღწერილია 4 რეკომენდაციაზე გაწეული საქმიანობა. უნივერსიტეტმა სრულად შეასრულა მე-2 და მე-3 რეკომენდაციები, ხოლო არ შეასრულა 1-ელი და მე-4 რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ლილი ხეჩუაშვილმა კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტი მასში ვერ შეიტანს ცვლილებას იმიტომ, რომ ამის საჭიროება არ დგას. ბაკალავრის ხარისხის არსებობა, როგორც მაგისტრატურაზე დასაშვები წინაპირობა, გამორიცხავს გარკვეული ტიპის კომპეტენციების პროგრამის სწავლის შედეგებში გაწერას. თუ მოხდება საბჭოს ან ექსპერტების მიერ განსახორციელებელი ცვლილების კურიკულიმის რუკაში დაზუსტება, დაწესებულება აუცილებლად გაითვალისწინებს.

სხდომაზა გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:39
დასრულების დრო: 15:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე 60 დღიანი ვადის განსაზღვრა არსებული ხარვეზების შესწორების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას განესაზღვრა 60 დღიანი ვადა არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად.

3. მესამე საკითხი: სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სპორტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.04.2022, N374722
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სპორტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სპორტი, 1014
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 1400, ქ. გორი,ჭავჭავაძის N68, სასწავლო კორპუსი N2
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მამუკა ხუსკივაძემ

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი, გიორგი ზუბიტაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესში, ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა, მაქსიმალურად ობიექტური და კრიტიკული ყოფილიყო პროგრამის შეფასებისას, რომლის მიმართ გაიცა 11 რეკომენდაცია და 11 რჩევა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან კი ირკვევა, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებულია. მას შემედეგ რაც პროგრამის განმავითარებელმა პერსონალმა ეს რეკომენდაციები გაითვალისწინა, მეტი პროგრესი განიცადა პროგრამამ და სტუდენტზე ორიენტირებული გახდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული საქმიანობისათვის და იმ შეფასებისთვის, რომელიც დასკვნაში იყო წარმოდგენილი. მისი თქმით, შესრულებული რეკომენდაციები პროგრამას გააძლიერებსდა და სტუდენტზე უფრო მეტად ორიენტირებულს გახდიდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:30
დასრულების დრო: 16:16

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი -0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სპორტის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.12.21 №1384319
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	არქეოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		ისტორია და არქეოლოგია 0222

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ. 77, თბილისი, 0175 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს მარინა მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ.

აცილების საფუძველი: შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ირინე დემეტრაძემ განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა 8 რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წამოდგენილი ანგარიშების მიხედვით აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულდა. მისი აზრით, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შინაარსი ცოტა ბუნდოვანია, თუმცა პროგრამის შედეგი და მიზანი ერთმანეთთან დაკავშირდა და აისახა კურიკულუმის რუკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე შაკიაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ აკრედიტაციის ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:17
დასრულების დრო: 16:21

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -15
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი